გაიხსნა სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობა

# ამოცანებს გვიკარნახებს გარდაქმნა

**ლენინური** დინამიზმით, დროის მძლავრი დენითაა დამუხტული საბჭოთა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის ახლანდელი ეტაპი. იგი ახალი ძალით ადასტურებს, რომ სოციალიზმი ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს განუწყვეტელი განახლებაა და რაც უფრო აქტიურია, რაც უფრო პრინციპულია თითოეული ჩვენგანის მოქალაქეობრივი პოზიცია, მით უფრო წარმატებულია წინსვლა.

ქვეყნის ცხოვრების გარდატეხის პერიოდში თავისი ორგანიზაციის ამოცანები უნდა განსაზღვრონ სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობის დელეგატებმა. იგი 24 თებერვალს გაიხსნა კრემლის ყრილობათა სასახლეში, თავის უმაღლეს ფორუმზე შეიკრიბა შრომის დიადი არმიის ხუთი ათასამდე წარმომადგენელი.

10 საათია. შეკრებილები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **მ. ს. გორბაჩოვს, ჰ. ა. ალიევს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ვ. მ. ჩებრიკოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, ა. ნ. იაკოვლევს, ნ. ნ. სლიუნკოვს, ს. ლ. სოკოლოვს, ი. ფ. სოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. პ. ბირიუკოვას, ა. თ. დობრინინს, ა. ი. ლუკიანოვს, ვ. ა. მედვედევს, ვ. პ. ნიკონოვს, გ. პ. რაზუმოვსკის, ი. ვ. კაპიტონოვს.**

სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობა გახსნა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ს. ა. შალაევმა.

დელეგატებმა აირჩიეს ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები — პრეზიდიუმი, სამდივნო, სარედაქციო და სამანდატო კომისიები.

დელეგატებმა დაამტკიცეს სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. ანგარიში საკავშირო პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ და სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა ამოცანები სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით.
2. ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. სსრ კავშირის პროფკავშირთა წესდების ცვლილებები.
4. საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს არჩევნები.
5. ცენტრალური [illegible] მისიის [illegible].

მოხსენება „ანგარიში საკავშირო პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ და [illegible] პროფესიულ კავშირთა ამოცანები სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით" გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ **ს. ა. შალაევმა.**

ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში გააკეთა მისმა თავმჯდომარემ **ლ. ა. კუზიაკმა.**

გუშინ ყრილობა მუშაობას განაგრძობდა.

(საქინფორმი).


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 40 (9451)

26 თებერვალი, ხუთშაბათი, 1987 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.


## სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობაზე საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის ს. ა. შალაევის მოხსენებიდან

„გარდაქმნის მრავალმხრივ პროცესში დიდმნიშვნელოვანი როლი ეთმობა მუდმივ ზრუნვას ყოველი ადამიანის სულიერი გამდიდრებისა და კულტურისათვის. მოსახლეობის შინაარსიანი დასვენების ორგანიზაციის. საკავშირო პროფსაბჭოს ყრილობაზე შემოაქვს წინადადება გადაირიცხოს ათი წლის გამავლობაში პროფკავშირთა სახსრებიდან 1 მილიარდი მანეთი იმ მიზნით, რომ ევროპული ჩრდილოეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში აშენდეს და რეკონსტრუირებულ იქნეს კლუბები და სპორტული ნაგებობანი. ეს შესაძლებლობას მოგვცემს დამატებით გავუხსნათ ათასობით საკლუბო და სპორტული დაწესებულება ინტენსიური ეკონომიკური ათვისების ადგილებში განლაგებულ საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებს.

პროფკავშირთა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაფართოების უდიდესი რეზერვია სკოლებსა და სხვა სასწავლებლებში, საწარმო-დაწესებულებებში არსებული 600 ათასი სააქტო და სპორტული დარბაზი, 500 ათასი წითელი კუთხე.

დღეს საჭიროა პროფკავშირთა და ლიტერატურის, ხელოვნების, სპორტის მუშაკთა ერთობლივი საქმიანობის მოფიქრებული სისტემა. შესაძლოა, მას საფუძვლად დაედოს პროფესიული და შემოქმედებითი კავშირების, სპორტული ორგანიზაციების თანამშრომლობის გრძელვადიანი პროგრამები მშრომელთა სულიერი და ფიზიკური განვითარების ფართო წრის თანამედროვე პრობლემებთან დაკავშირებით.

კვლავინდებურად აუცილებელია შეიქმნას ქვეყანაში კლუბების, სპორტული და ტურისტული ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ერთიანი სისტემა მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად. ჩვენ ვთხოვთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სოციალური განვითარების ბიუროს ყურადღებით განიხილოს ეს პრობლემები.

საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის მთავრობაში შეიტანეს წინადადებანი საერთო საცხოვრებლების მატერიალურ-ტექნიკურ და სოციალურ-კულტურულ მოწყობასთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსის, მათ შორის, საოჯახო საერთო საცხოვრებლის პრობლემის გამო. იმედი გვაქვს, რომ ყველა ამ საკითხს გულისხმიერად განიხილავენ.

თავიანთი პროფკავშირებისადმი მშრომელთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დავალებაა ბავშვებისა და ყმაწვილების დასვენების ორგანიზაცია. საანგარიშო პერიოდში 1,5-ჯერ და მეტად გაიზარდა გამაჯანსაღებელი ბანაკების ქსელი. საკავშირო პროფსაბჭოს ინიციატივით ვითარდება სკოლისგარეშე მუშაობის ახალი ფორმა, საყმაწვილო კლუბები, რომლებიც პროფკავშირთა სახსრებით იქმნება საცხოვრებელ ადგილებში. მაგრამ დღევანდელობა მოითხოვს ახლებურად შევაფასოთ ბავშვებისა და ყმაწვილების დასვენების ორგანიზაცია. განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა და იმ ბავშვთა საზაფხულო დასვენების ორგანიზაციის მიმართ, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთის ტერიტორიების არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში ცხოვრობენ".

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

## ზედიზედ მეოთხე გამარჯვება

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი **ავთანდილ გურასაშვილი** მოსკოვიდან გვატყობინებს:

**მოსკოვის ოლიმპიური სპორტული კომპლექსის საცურაო აუზი.**

**„დინამო" (თბილისი) — „ბალტიკა" (ლენინგრადი) — 10:7 (3:4, 2:1, 4:1, 1:1).**

**„დინამო": მ. გიორგაძე, ზუმბულიძე, გვახარია, კუტივაძე, ნიკოლაიშვილი, კოლუაშვილი, კანდელაკი. მათ გარდა თამაშობდნენ: გიორგაძე, ბალათურია, ბითაძე, მაჭავარიანი, რამიშვილი.**

**„ბალტიკა": ანიკინი, ავაკუმოვი, ვ. პოპოვი, საფონოვი, ელისეენკო, შმელიოვი, ვლადიმიროვი. მათ გარდა თამაშობდნენ: მახლობოევი, ნოვიკოვი, კუზნეცოვი, ა. პოპოვი, მამაევი.**

**დინამოელთა** უფროსმა მწვრთნელმა ირაკლი ჩხიკვაძემ ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე გვითხრა: ლენინგრადის „ბალტიკასთან" თამაში ყოველთვის გვიჭირს, შარშან თბილისში ამ გუნდთან შეხვედრაში დავმარცხდითო.

მართალია, „ბალტიკა" ერთ-ერთი გამოცდილი გუნდია — უმაღლეს ლიგაში 19-ჯერ უასპარეზია — მაგრამ საუკეთესო შედეგს მხოლოდ 1968 წელს მიაღწია, როცა მეოთხე ადგილი დაიკავა. ეს გუნდი დინამოელებს ვერც ერთ კომპონენტში ვერ ჯაბნის, მაგრამ თბილისელებს მასთან თამაში მაინც უჭირთ.

ამ გუნდთან შეხვედრამდე დინამოელებმა, როგორც იცით, სამივე შეხვედრა მოიგეს, „ბალტიკამ" კი სამივე წააგო. ასე რომ, ორივე გუნდი საბრძოლველად იყო შემართული — თბილისელებს სურდათ მეოთხედ ეზეიმათ გამარჯვება (ოცი წელია გუნდს საკავშირო ჩემპიონატში ზედიზედ ოთხი მატჩი არ მოუგია), „ბალტიკას" კი ეშინოდა მეოთხედაც არ დამარცხებულიყო.

დიახ, მეტად საინტერესო, დაძაბული ბრძოლა იყო მოსალოდნელი და ეს ვარაუდი გამართლდა კიდეც.

ანგარიში ლენინგრადელებმა გახსნეს და თბილისელები ამ ტურში პირველად აღმოჩნდნენ მდევრების როლში. მიუხედავად ამისა, მათ თამაშში აღელვება და ფაცი-ფუცი არ იგრძნობოდა.

დინამოელებმა მხოლოდ მესამე პერიოდის დასაწყისში მოახერხეს დაწინაურება, მაგრამ „ბალტიკამ" მაშინვე აღადგინა წონასწორობა. მალე ქართველი წყალბურთელები მეორედ დაწინაურდნენ და ამის მერე, როგორც იტყვიან, მეტოქისთვის ამოსუთქვის საშუალება აღარ მიუციათ. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 10:7 „დინამოს" სასარგებლოდ. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს: კანდელაკმა, კუტივაძემ, ნიკოლაიშვილმა (2-2), გიორგაძემ, კოლუაშვილმა, ზუმბულიძემ და რამიშვილმა.

თამაშის შემდეგ ყველა ახალგაზრდა რამიშვილს შემოეხვია — გოლის გატანას ულოცავდნენ. რატომაც არა? ეს ხომ სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის საუკეთესო ბომბარდირის პირველი გოლი იყო უმაღლეს ლიგაში.



იხ. მე-4 გვ.

### რუსუდან ხოფერიას კიდევ ერთი წარმატება



**მოგილიოვში ჩატარდა საკავშირო თასის გათამაშება ბატუტზე ხტომაში. სინქრონულ ხტომებში ყველას აჯობეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა რუსუდან ხოფერიამ და კრასნოდარელმა ირინა ხლონოვამ. გარდა ამისა, რუსუდანმა ინდივიდუალურ შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა.**

**დაწვრილებით ამ ასპარეზობის შესახებ „ლელოს" უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.**

## „დინამო" (თბილისი)— „სპარტაკი" (ლენინგრადი)

**დღეს თბილისის სპორტის სასახლეში უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი გაიმართება ადგილობრივ „დინამოსა" და ლენინგრადის „სპარტაკს" შორის.**

ჩვენი დღევანდელი მეტოქე საკავშირო ჩემპიონატებში 1940 წლიდან მონაწილეობს, მაგრამ ანგარიშგასაწევ წარმატებებს მან მას შემდეგ მიაღწია, რაც უფროსი მწვრთნელის პოსტი ვ. კონდრაშინმა ჩაიბარა.

70-იანი წლებიდან „სპარტაკი" ერთ-ერთი მოწინავე კლუბია ჩვენს კალათბურთში. წლების მანძილზე იგი სერიოზულ კონკურენციას უწევდა მოსკოვის ცსკა-ს და ხშირად საპრიზო ადგილებზე გადიოდა. 1975 წელს ლენინგრადელებმა ბოლოს და ბოლოს მიაღწიეს მიზანს — საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს. ნევისპირელი კალათბურთელები საკმაო წარმატებით გამოდიოდნენ საერთაშორისო სარბიელზეც.

დღევანდელი მატჩის მნიშვნელობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ორივე მეტოქე ბრინჯაოს მედლებზე აცხადებს პრეტენზიას. შეგახსენებთ, რომ ლენინგრადის „სპარტაკი" და თბილისის „დინამო" 75-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ლენინგრადელებმა 45 მატჩი მოიგეს, თბილისელებმა — 30.



### 28 თებერვალს

ცირკის სარბიელზე გაიმართება ქართულ ჭიდაობაში სოფლებისა და ქალაქების უბნების რესპუბლიკური პირველობის მორიგი შეხვედრები: ხოვლე (კასპი) — გლდანი (თბილისი), ციხისუბანი (გორი) — ორთაჭალა (თბილისი), სანიორე (თელავი) — ძველი რუსთავი. შეჯიბრება 12 საათზე დაიწყება.

საქართველოს თასის გათამაშება პნევმატური იარაღით სროლაში



# ახლა საქმეც გაკეთდა

„ბურევესტნიკის" სპორტული კომპლექსის ტირში საქართველოს თასის გათამაშება ახალი დაწყებული იყო, იქ რომ მივედი. მწვრთნელები კმაყოფილნი დამხვდნენ. ისინი მონაწილეთა შედეგებს კი არ გაეხარებინა (შედეგებზე ცოტა ქვემოთ), არამედ — ახალი ბაზის შემომატებას. დიახ, როგორც იქნა, დამთავრდა ტირის მშენებლობა და თუმცა პნევმატური იარაღის სასროლი დარბაზი ჯერ კიდევ მოსაწყობია, იმ დარბაზში შეჯიბრების გამართვა თავისთავად სასიხარულო ამბავია. აქვე ვიტყვით, რესპუბლიკის თასის გათამაშება სწორედ პნევმატური იარაღით სროლაში ტარდებოდა, მწვრთნელებმა და მსაჯებმა ტყვიის სასროლი დერეფანი ხელოვნურად დაამოკლეს და შეჯიბრება ასე ჩაატარეს, უნდა ითქვას, რომ მსგავსი „ოპერაცია", ტირების ნაკლებობის გამო, მათ ადრეც ხშირად ჩაუტარებიათ.

ჰაერდგუშიანი თოფით თუ პისტოლეტით შეჯიბრება 10-მეტრიან დისტანციაზე იმართება, ე. ი. ბაზის მოწყობა თვით ციცქნა დარბაზშიც შეიძლება, მაგრამ შეძლებას და საქმის გაკეთებას შორის ხშირად მთელი უფსკრული ძევს. ის 10-15-მეტრიანი სასროლი დერეფანი ისევე დეფიციტად ითვლება ჩვენში, როგორც ტყვიის სროლის 50-მეტრიანი ბაზა.

ერთი მომცრო ტირის (ისიც, ახლანდელი გაგებით, მარტივი ტიპის) მწყობრში ჩადგომა მაინცდამაინც ვერ შეცვლის მსროლელთა წვრთნის პირობებს, მაგრამ მწვრთნელებს სხვა რამის იმედიც აქვთ. იქვე, ოციოდე ნაბიჯზე, სადაცაა დამთავრდება არმიელთა ბაზის მშენებლობა. შესანიშნავი სასროლეთი შენდებაო, ალტაცებით მითხრეს მათ. თუ ნათქვამს იმასაც დავუმატებთ, რომ დოსაafის ტირის რეკონსტრუქცია თემქის დასახლებაში ზაფხულში უნდა დამთავრდეს, უეჭველია, მალე სპორტის იმ სახეობის წარმომადგენლებს მეტი ხელშეწყობა ექნებათ.

საქართველოს თასის გათამაშებაში, ორიოდე გამონაკლისის გარდა (ნინო სალუქვაძე, თემურ ქოიავა), ჩვენი ყველა უძლიერესი მსროლელი მონაწილეობდა. ასაკობრივი ცენზის დაწესებამ სხვა პირობები წაუყენა მწვრთნელებს, მაგრამ მაინც აშკარაა განსხვავება გამოცდილ სპორტსმენებსა და ახალგაზრდებს შორის. ვაჟთა შეჯიბრება ორივე დისციპლინაში დიდი უპირატესობით მოიგეს არმიელმა სნაიპერებმა — ვლადიმერ სამოილენკომ (შაშხანა) და ვაჟა დაუშვილმა (პისტოლეტი). სამოილენკოც და დაუშვილიც 31 წლისანი არიან. ორივე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია.

სამოილენკომ პშ-6 ვარჯიშში 13 ქულით ჩამოიტოვა 17 წლით უმცროსი არტემ ძამოევი. გამარჯვებულმა განსაკუთრებით შეაქო ახალგაზრდა მეტოქე.

— ზოგჯერ მეტოქეს მხოლოდ გამოცდილებითაც შეიძლება აჯობო, — თქვა მან, — ძამოევი ნიჭიერი ბიჭია. გოგონებში კი თამილა თუთაძეს ვანიჭებ უპირატესობას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა თამილა თუთაძემ („დინამო") პირველად გაიმარჯვა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში.

ტყვიის სროლა ჩვენში მასობრივ სპორტად ვერ ჩაითვლება. მნიშვნელოვანი საკავშირო შეჯიბრებისთვის სრული გუნდის დაკომპლექტებაც კი გვიჭირს. ამიტომ მწვრთნელები მუდამ იმედის თვალით უყურებენ ახალგაზრდების გამოსვლას.

შეჯიბრების შედეგები მაინცდამაინც მაღალი არ იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან მთლად უიმედოდ დაგვტოვა: პისტოლეტით მსროლელ ვაჟთა შორის მე-2 ადგილი დაიკავა თბილისის 148-ე სკოლის მეცხრეკლასელმა ვასილ ბულგაკოვმა (მწვრთნელი გიორგი შამიროვი). აღსანიშნავია, რომ ფინალის წინ იგი 6 ქულით ჩამორჩებოდა გიორგი ამაშუკელს, მაგრამ ათი გასროლის შემდეგ უკვე ქულით იყო წინ.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქალთა შეჯიბრების მეორე პრიზიორმაც ასევე მოსწავლემ დარეჯან დუმბაძემ. იგი ბათუმელია. საერთოდ, რაიონების სპორტსმენთაგან მხოლოდ დუმბაძე და სოხუმელი კამო გეორქიანი მოხვდნენ პრიზიორთა შორის.

ახალგაზრდა სპორტსმენის წარმატება ყოველთვის საყურადღებოა, მაგრამ სროლის სპეციფიკას თუ გავითვალისწინებთ, არც შედარებით უფროსი სპორტსმენის ნაადრევად „ჩამოწერაა" მიზანშეწონილი. ან კიდევ სხვა მაგალითი: ნინო სალუქვაძე 17 წლის ასაკში საერთაშორისო კლასის შედეგებს აჩვენებს, ჩვენმა მეორე მსროლელმა, მეგი ხუბულაშვილმა კი სწორედ 17 წლისამ დაიწყო ვარჯიში მწვრთნელ მევლუდ ქამურაშვილის ხელმძღვანელობით — უკვე პირველი კურსის სტუდენტი იყო, ახლა, სულ რამდენიმე წლის შემდეგ, მეგი საკავშირო ნაკრების კანდიდატია და საქართველოს თასის გათამაშებაშიც იოლად გაიმარჯვა.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**

## შიგ — კვარცხლბეკი

პნევმატური პისტოლეტი.

**ქალები (პპ-2)** 1. მ. ხუბულაშვილი (დოსაafი) — 475 (382-93); 2. დ. დუმბაძე — 456; 3. ე. სმირნოვა — 456.

**ვაჟები. (პპ-8).** 1. ვ. დაუშვილი — 666 (575-91); 2. ვ. ბულგაკოვი — 653; 3. გ. ამაშუკელი — 652;

**პნევმატური შაშხანა.**

**ქალები (პშ-4).** 1. თ. თუთაძე — 468 (377-91); 2. ნ. მაისურაძე — 459; 3. მ. ბელუბეკოვა — 454.

**ვაჟები. (პშ-6).** 1. ვ. სამოილენკო — 672 (576-96), 2. ა. ძამოევი — 659; 3. ვ. გევორქიანი — 656.

**სურათებზე: მარცხნიდან — მეგი ხუბულაშვილი, თამილა თუთაძე, ვაჟა დაუშვილი, ვლადიმერ სამოილენკო.**

# პუშკინი და ჭადრაკი

**დიდი** რუსი პოეტი ალექსანდრე პუშკინი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა თავისი ქვეყნის წარსულისადმი. იგი სპეციალურად სწავლობდა ივანე IV მრისხანისა და ბორის გოდუნოვის მეფობის ხანას, პეტრე I-ის ეპოქას, ამიტომ ცხადია, ისიც ეცოდინებოდა, რომ რუსეთში ჭადრაკი მეტად პოპულარული თამაში იყო. ცნობილია, რომ ივანე მრისხანე ჭადრაკის დაფასთან გარდაიცვალა ისე, რომ ფიგურების დალაგებაც კი ვერ მოასწრო. ინგლისის ელჩის ჯერომ გორსეის ეს ცნობა შემდეგში გამოიყენეს ცნობილმა ისტორიკოსებმა ნიკოლოზ კარამზინმა და სერგეი სოლოვიოვმა. პოლონელი ისტორიკოსი კაზიმირ ვალიშევსკი წერს, რომ მეფის პარტნიორი უნდა ყოფილიყო ბორის გოდუნოვი, სხვა ცნობით — თავადი ბელსკი. რუსეთში ჭადრაკის შემდგომ პოპულარობას ხელი შეუწყო ამ თამაშით პეტრე I-ის დაინტერესებამ. ცნობილია, რომ მან უფლისწულს ალექსის უბრძანა ჭადრაკის კომპლექტი დაემზადებინა. სასახლის კარზე არსებობდა დავთარი ყოველდღიური ჩანაწერებით — ე. წ. „იურნალი". აქ იწერებოდა მეფის საქმიანობის შესახებ. „იურნალში" ხშირად წააწყდებით ამგვარ ცნობას: „მეფე ჭადრაკს ეთამაშებოდა მღვდელ ბიტკას". ბიტკა ჩინებული მოჭადრაკე ყოფილა. 1714 წლიდან მეფე, სადაც არ უნდა წასულიყო, მოჭადრაკე-მღვდელს გვერდიდან არ იცილებდა. 1717 წელს, საფრანგეთში პეტრეს მოგზაურობის დროს, ბიტკას თავისი უჩვეულო ღორმუცელობით და ლოთობით ფრანგებზე ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია. სადილობისას 12–15 ბოთლ შამპანურ ღვინოს სვამდა თურმე! კიდევ რამდენიმე საინტერესო ფაქტი: ეკატერინე II თავისი ვაჟისთვის პავლესთვის შეუძენია ჭადრაკის იშვიათი კომპლექტი. თვით ეკატერინეც თამაშობდა, ოღონდ ყოველთვის პარტნიორთან ერთად ორი მეტოქის წინააღმდეგ. 1796 წელს, როცა პეტერბურგს შვეციის მეფე გუსტავ IV ეწვია, მის საპატივსაცემოდ „ცოცხალი ჭადრაკი" გამართეს. თამაშობდნენ ცნობილი არისტოკრატები ნარიშკინი და სტროგანოვი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი ეკატერინე დაშკოვა მიმოწერით ჭადრაკს თამაშობდა... თვით ვოლტერთან!

სად ისწავლა თამაში პუშკინმა? ამის შესახებ სარწმუნო ცნობა არ არსებობს, მაგრამ გამოთქმულია აზრი, რომ მას თამაში სიჭაბუკეში, ლიცეიში სწავლის დროს უნდა ესწავლა. ლიცეისტებისთვის ცნობილი იყო, რომ მათი საყვარელი პიროვნება გამოჩენილი პოეტი დერჟავინი ცარგად თამაშობდა ჭადრაკს და წერდა კიდეც ამ თამაშის შესახებ.

ჭადრაკისადმი პუშკინის დიდ ინტერესზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა განთქმული ფრანგი ოსტატის ფილიდორის ცნობილი სახელმძღვანელო, ალბათ ყველაზე პოპულარული საჭადრაკო წიგნი XIX საუკუნის პირველ ნახევარში. პოეტს ფილიდორის 1820 წელს პარიზში გამოცემული წიგნი ჰქონია. წიგნის ყველა ფურცელი გაჭრილია, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ პუშკინს დაკვირვებით შეუსწავლია ეს სახელმძღვანელო. მის ბიბლიოთეკაში ცნობილი რუსი ოსტატის პეტროვის მიერ 1824 წელს გამოცემული სახელმძღვანელოს ორი ეგზემპლარი ინახება. ერთი მათგანი, როგორც ჩანს, თვითონ იყიდა, მეორეს კი თვით პეტროვის წარწერა აქვს: „მოწყალე ხელმწიფეს ალექსანდრე სერგის ძე პუშკინს ჭეშმარიტი პატივისცემის ნიშნად, გამომცემლისგან". ფიქრობენ, რომ პუშკინს პეტროვი ჭადრაკის მოყვარულ გრაფ ლიტას სახლში უნდა გაეცნო.

საჭადრაკო კლუბი რუსეთში 1841 წლამდე არ არსებობდა. პუშკინი იმდროინდელ ჭადრაკის მოყვარულებს სალონებში ხვდებოდა. როგორ თამაშობდა პოეტი, ამაზე პასუხის გაცემა ძნელია, რადგან პარტიის ჩანაწერები არ შემორჩენილა. ე. სინიცინა იგონებს პუშკინის სტუმრობას ტვერის გუბერნიის სოფელ პავლოვსკში, პავლე ივანეს ძე ვულფთან. პუშკინმა მასპინძელს (თავისი ახლობლის ალექსი ნიკოლოზის ძე ვულფის ბიძას) ჭადრაკი ასწავლა და სისტემატურად ეთამაშებოდაო. მასპინძელი მალე გაწაფულა და მოუგია კიდეც მასწავლებლისთვის. ერთხელაც აღელვებულ პუშკინს წამოუძახია: „როგორ შეიძლება მასწავლებლის ასე დამარცხება!" საფიქრებელია, რომ პუშკინი, როგორც გამოცდილი მოჭადრაკე და თეორიის მცოდნე, ვულფს უფიგუროდ, როგორც მაშინ იყო მიღებული, ეთამაშებოდა, ცნობილია, რომ იგი წინასწარ უთმობდა კუს ვრევსკისაც.

თუ იმდროინდელ მაღალ საზოგადოებაში ჭადრაკს ხშირად როგორც არასერიოზულ გასართობს, ისე უყურებდნენ, პუშკინი სულ სხვანაირად ფიქრობდა. იგი 1832 წლის სექტემბერში ცოლს სწერდა: „გმადლობ, ჩემო კარგო, იმისათვის, რომ ჭადრაკის თამაშს სწავლობ. მისი ცოდნა საჭიროა ყველა კარგ ოჯახში". როგორც წერილებიდან ირკვევა, შემდეგში ნატალია პუშკინა სისტემატურად თამაშობდა ჭადრაკს ვაჟებთან.

მეტად საინტერესო ეპიზოდი აქვს აღწერილი სმირნოვას თავის მოგონებებში. პუშკინი ჭადრაკის სათამაშოდ ეწვია თავად მეშჩერსკის, მიუჯდა კიდეც დაფას ცნობილ მუსიკოს, გრაფ მიხეილ ვიელგორსკისთან ერთად. იგი კარგ ხასიათზე იყო, ხუმრობდა. მისი მეუღლე ნატალია თავის დას ეკატერინეს (დანტესის ცოლს) ესაუბრებოდა. დანტესი ძალიან გვიან მოვიდა ცოლის გასაცილებლად, რადგან იმ დღეს პოლკში მორიგე იყო, იგი დებს გაესაუბრა. პუშკინმა შეხედა თუ არა დანტესს, მყისვე დაკარგა წონასწორობა. „ამ ვაჟბატონს ჭკუა უნდა ვასწავლო" — თქვა მან. შემდეგ განაგრძო: „ეს ოფიცერი შამათს გამომიცხადებს, ამიტომ უნდა ავიყვანო". მან დაფაზე მართლაც აიყვანა ვიელგორსკის ოფიცერი (კუ), თამაშში გართული მეტოქე ფიქრობდა, რომ მთელი ფრაზა საჭადრაკო ოფიცერს ეხებოდა.

მეორე დღეს „ოფიცერმა" დიდი პოეტი სასიკვდილოდ დაჭრა. პოეტის წინათგრძნობა ახდა...

1836 წელს აგვისტოში პუშკინმა გამოიწერა ფრანგული საჭადრაკო ჟურნალი „პალამედი", რომელიც პარიზში გამოდიოდა და მთელ მსოფლიოში ვრცელდებოდა. გადაიხადა საკმაოდ დიდი თანხა 30 მანეთი, მიიღო კიდეც პირველი სამი ნომერი, დანარჩენის წაკითხვა კი აღარ დასცალდა...

**გივი გამრეკელი,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ასუჯრედიან შაშში



# სამი ლიდერი

**დაუგავპილსი** (ლატვია), 25 თებერვალი (დეპეშით, „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი). ფინიშს მიუახლოვდა 100-უჯრედიან შაშში სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირი. ამიტომაა, ალბათ, მისი მონაწილენი ბოლო ტურებში ზედმეტ სიფრთხილეს რომ იჩენენ, თუმცა დიდი რისკი არც პირველ პარტიებში გამოუჩენიათ.

IX ტურში ყველა პარტია ყაიმით დამთავრდა. ჯუმბერ ბერიშვილი ალექსი ვერხოვიხს დაუზავდა. X ტურში ბერიშვილის მეტოქე იყო ევროპის ჩემპიონი ვადიმ ვირნი. პარტია მეტად დაძაბულად წარიმართა და მწვავე ცაიტნოტში მეტოქეები დაზავდნენ. ბალიაკინმა მოუგო ბერჩისს, მოგილიანსკიმ — ა. ერმაკოვს. დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ახლა ჩემპიონატს სამი ლიდერი ჰყავს — 6-6 ქულა მოაგროვეს ტუნდის ვალნერისმა, ალექსანდრე მოგილიანსკიმ (ორივე — რიგა) და მიხაილ კორენევსკიმ (ლენინგრადი). 5,5-5,5 ქულა აქვთ ალექსეი ჩიჟოვს (უსტინოვი), ალექსეი ვერხოვიხს (კალინინი), ვადიმ ვირნისა (ხარკოვი) და იური ერმაკოვს (მოსკოვი). ჯუმბერ ბერიშვილმა სხვებთან ერთად 5 ქულა მოაგროვა და VIII-XIII ადგილებს იყოფს.

**არტურ გოიხმანი.**

# მოედნებს უყურადღებოდ ნუ მივატოვებთ

**დლითიდლე** მშვენდება და ფართოვდება დედაქალაქის ერთ-ერთი ახალი უბანი ვარკეთილი-3. აქ ამჟამად 35 000 მოსახლეა, მათ შორის 17000 მოზარდია. ეს საცხოვრებელი მასივი ჯერ კიდევ ხარაჩოებშია — მატულობს ცად აზიდული მაღლივი კორპუსებისა და მათ შორის ჩასმული ბაღა-ბაღებისა და სკოლების რაოდენობა. აქ განაშენიანების პროექტით გათვალისწინებული ყველა სპორტული და საბავშვო მოედანი აშენდა, მაგრამ თუ ახლოს მიხვალთ და დაათვალიერებთ, ბევრ უწესრიგობას აღმოაჩენთ. მოედნების უმეტესობა მოუწყობელია — არ არის საკალათბურთო დგარები, ფრენბურთის ბადის გასაჭიმი ძელები, არ დგას მინიფეხბურთისა და ხელბურთის კარები, ზოგიერთი მოედანი მოუასფალტებელი და დაუხაზავია. სხვებზე უკეთესად გამოიყურება მეორე მიკრორაიონის ორი სპორტული მოედანი — ისინი მოასფალტებული, დახაზული და შემოღობილია, მაგრამ დგარები და კარები არც აქ არის. პირველ მიკრორაიონში ოთხი მარტივი ტიპის მოედანია, რომელთაგან მხოლოდ ერთს შერჩენია კალათბურთის ფარები. ბუნებრივია, ასეთი მოედნები თითქმის გამოუსადეგარია, ამიტომ ვარკეთილელები სავარჯიშოდ დასახლების ტერიტორიაზე არსებულ 105-ე, 178-ე, 179-ე და 180-ე საშუალო სკოლების უკეთესად მოწყობილ სპორტულ დარბაზებს, ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებს ამჯობინებენ, ფაქტიურად სპორტის მოყვარულები საშუალო სკოლების ბაზებზე ვარჯიშობენ. ცხადია, საცხოვრებელ ადგილებთან არსებული ბაზები რომ მოვლილ-მოწესრიგებული იყოს, ვარკეთილელთა მასობრივ-ფიზკულტურული ცხოვრება საგრძნობლად გამოცოცხლდებოდა.

აი, რა გვითხრა თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მთავარმა არქიტექტორმა თენგიზ ადამიამ: „რაიონის სპორტკომიტეტთან ერთად ვარკეთილ-3-ში სპორტული და საბავშვო მოედნების მოწყობას დიდ ყურადღებას ვაქცევთ, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მათ მოვლა-პატრონობაზე ვეღარ ვზრუნავთ. ამ ნაკლს გამოვასწორებთ. გადავწყვიტეთ, წელს პირველ მიკრორაიონში არსებული სამი მარტივი ტიპის სპორტული მოედანი კეთილმოვაწყოთ".

რაიაღმასკომსა და საშეფო ორგანიზაციებს, ცხადია, ბევრი საზრუნავი აქვთ, მაგრამ ზრუნვა და ყურადღება არც სპორტულ მოედნებს უნდა მოვაკლოთ. უყურადღებობით კი შეიძლება ის გამეორდეს, რაც ამასწინათ ვაზისუბანში მოხდა: ააშენეს სპორტული მოედანი, დიდი ზარ-ზეიმით გახსნეს და... ცოტა ხნის მერე დასანგრევად მიადგნენ.

ვარკეთილი-3-ის განაშენიანების პროექტით ნავარაუდევია მეოთხე მიკრორაიონში სპორტული ზონის აშენება. აქ მოეწყობა ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები, კორტები და სხვა სპორტული ობიექტები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მომავალში ეს ზონა დასახლების სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრად იქცევა, თუ, რასაკვირველია, მასაც უყურადღებოდ მიტოვებული მოედნების ბედი არ ეწია.

**ავთანდილ ქოქაშვილი,**
**თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფეხბურთი

## სუპერთასი — „სტიაუას"

**მონაკოში**, მონტე-კარლოს 20-ათასიან სტადიონზე გაიმართა ევროპის სუპერთასის მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ 1986 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი ბუქარესტის „სტიაუა" და თასების მფლობელთა თასის მფლობელი კიევის „დინამო". კიეველი ფეხბურთელები ერთხელ, 1975 წელს, უკვე ფლობდნენ ევროპის სუპერთასს, მაგრამ ეს წარმატება ახლა ვეღარ გაიმეორეს და წააგეს შეხვედრა ანგარიშით 0:1. ეს ერთადერთი ბურთი 44-ე წუთზე გაიტანა რუმინელთა თავდამსხმელმა ხაჯიმ.

მატჩის დასაწყისი, დაახლოებით 10-15 წუთი კიეველთა საგრძნობი უპირატესობით მიმდინარეობდა. „სტიაუას" კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, ამ პერიოდში გუნდი უმთავრესად თავს იცავდა, მხოლოდ შემდგომში შეძლეს რუმინელმა ფეხბურთელებმა მდგომარეობის გამოსწორება, მეკარე ვ. ჩანოვმა მოიგერია ხაჯის ძალზე ძლიერი დარტყმა, 44-ე წუთზე კი დინამოელთა კარში საჯარიმო დაინიშნა, ხაჯის მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა კიეველთა ერთ-ერთ მცველს, მიმართულება შეიცვალა და ბადეში აღმოჩნდა.

ბუქარესტის გუნდი კიდევ უფრო მეტი მონდომებით და ენერგიულად მოქმედებდა შესვენების შემდეგ, კიეველებს კი ამ დღეს თამაში აშკარად არ გამოუვიდათ.

სუპერთასის მატჩი კიევის „დინამომ" ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: ჩანოვი, ბალი, ბალტაჩა, კუზნეცოვი, დემიანენკო, იაკოვენკო, ზავაროვი (მოროზოვი), რაცი, ევტუშენკო, ბელანოვი (მიხაილიჩენკო), ბლოხინი.

## საკონტროლო მატჩები

**გაგრა. (ტელეფონით, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი).** ოსტატ ფეხბურთელთა მორიგი საკონტროლო შეხვედრა შედგა თბილისის „დინამოსა" და ორჯონიკიძის „სპარტაკს" შორის. თამაში ფრედ დამთავრდა — 2:2, დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს ჩელებაძემ და ქორდანიამ.

„დინამოს" შემადგენლობა: აბუსერიძე (ქოჩიაშვილი), ფირცხალავა, ცვეიბა, ოსიპოვი, ჩეკუნოვი, ქორდანია, ქოჩქიანი (ქეცბაია), გურული (ბეკოევი), ბიგვავა, ჩელებაძე (ჯიშკარიანი), შენგელია.

### საქართველოს ჩემპიონატი

## ორი ტურის განრიგი

**28 თებერვალს იწყება საქართველოს 1987 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებს შორის. გთავაზობთ პირველი ორი ტურის განრიგს:**

**I ტური, 28 თებერვალი**

„სალხინო" (გეგეჭკორი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი), „დურუჯი" (ყვარელი) — „შადრევანი" (წყალტუბო), „მერცხალი" (მახარაძე) — „დინამო" (ზუგდიდი), „სულორი" (ვანი) — „სქური" (წალენჯიხა), „არმაზი" (მცხეთა) — „სპარტაკი" (ცხინვალი), „ამირანი" (ოჩამჩირე) — „ივერია" (ხაშური).

**1 მარტი**

„კახეთი" (თელავი) — „მადნეული" (ბოლნისი), „საპოვნელა" (თერჯოლა) — „ქართლი" (გორის რ-ნი), „დინამო" (გაგრა) — „იმერეთი" (ქუთაისი), „ეგრისი" (ცხაკაია) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ), „კოლხეთი" (ხობი) — „იმედი"-„დინამო"-2 (თბილისი).

**II ტური, 7 მარტი**

„იმედი"-„დინამო"-2" (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი), „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „დინამო" (გაგრა), „სპარტაკი" (ცხინვალი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), „სქური" (წალენჯიხა) — „საპოვნელა" (თერჯოლა), „მერცხალი" (მახარაძე) — „კახეთი" (თელავი), „შადრევანი" (წყალტუბო) — „დინამო" (ზუგდიდი).

**8 მარტი**

„კოლხეთი" (ხობი) — „ივერია" (ხაშური), ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „ამირანი" (ოჩამჩირე), „იმერეთი" (ქუთაისი) — „ეგრისი" (ცხაკაია), „ქართლი" (გორის რ-ნი) — „არმაზი" (მცხეთა), „მადნეული" (ბოლნისი) — „სულორი" (ვანი), „სალხინო" (გეგეჭკორი) — „დურუჯი" (ყვარელი).

## პირველი წრე

**I ტური**

**4 აპრილი, შაბათი**

ასკ (დონის როსტოვი) — „კუზბასი" (კემეროვო)
„ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)
„კოტაიკი" (აბოვიანი) — „გეოლოგი" (ტიუმენი)
„სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი)
**„ტორპედო" (ქუთაისი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა)**
**„დინამო" (ბათუმი) — ასკ „კარპატი" (ლვოვი)**
„ფაკელი" (ვორონეჟი) — „შინიკი" (იაროსლავლი)
„როტორი" (ვოლგოგრადი) — „დაუგავა" (რიგა)
„კოლოსი" (ნიკოპოლი) — „დინამო" (სტავროპოლი)
„მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „როსტსელმაში" (დონის როსტოვი)

**II ტური**

**7 აპრილი, ხამშაბათი**

„ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „პამირი" (დუშანბე)
ასკ რ. — „ლოკომოტივი", „ზარია" — „კუზბასი", „კოტაიკი" — „კრ. სოვეტოვი", „სპარტაკი" — „გეოლოგი", **„ტორპედო" ქ. — ასკ „კარპატი", „დინამო" ბ. — „ჩერნომორეცი"**, „ფაკელი" — „დაუგავა", „როტორი" — „შინიკი", „კოლოსი" — „როსტსელმაში", „მეტალურგი" — „დინამო" სტ.

**10 აპრილი, პარასკევი**

**სარეზერვო დღე**

„კოლოსი" — „ზარია" (მე-14 ტურის მატჩი).

**III ტური**

**14 აპრილი, სამშაბათი**

„შინიკი" — „კოლოსი", „დაუგავა" — „მეტალურგი", „ჩერნომორეცი" — „ფაკელი", ასკ „კარპატი" — „როტორი", **„კრ. სოვეტოვი" — „ტორპედო" ქ., „გეოლოგი" „დინამო" ბ.**, „ლოკომოტივი" — „სპარტაკი", „კუზბასი" — „კოტაიკი", „პამირი" — „ზარია", „ფახთაქორი" — ასკ რ.

**IV ტური**

**17 აპრილი, პარასკევი**

„დინამო" სტ. — „როსტსელმაში", „შინიკი" — „მეტალურგი", „დაუგავა" — „კოლოსი", „ჩერნომორეცი" — „როტორი", ასკ „კარპატი" — „ფაკელი", **„კრ. სოვეტოვი" — „დინამო" ბ.**

**18 აპრილი, შაბათი**

„გეოლოგი" — **„ტორპედო" ქ.**, „კოტაიკი" — „ლოკომოტივი", „კუზბასი" — „სპარტაკი", „პამირი" — ასკ რ., „ფახთაქორი" — „ზარია".

**V ტური**

**23 აპრილი, ხუთშაბათი**

„როსტსელმაში" — „შინიკი", „დინამო" სტ. — „დაუგავა", „ზარია" — ასკ რ., „კოტაიკი" — „ფახთაქორი". „სპარტაკი" — „პამირი", **„ტორპედო" ქ. — „ლოკომოტივი", „დინამო" ბ. — „კუზბასი"**, „ფაკელი" — „კრ. სოვეტოვი", „როტორი" — „გეოლოგი", „კოლოსი" — „ჩერნომორეცი", „მეტალურგი" — ასკ „კარპატი".

**VI ტური**

**26 აპრილი, კვირა**

„როსტსელმაში" — „დაუგავა", „დინამო" სტ. — „შინიკი", „კოტაიკი" — „პამირი", „სპარტაკი" — „ფახთაქორი", **„ტორპედო" ქ. — „კუზბასი", „დინამო" ბ. — „ლოკომოტივი"**, „ფაკელი" — „გეოლოგი", „როტორი" — „კრ. სოვეტოვი", „კოლოსი" — ასკ „კარპატი", „მეტალურგი" — „ჩერნომორეცი".

**VII ტური**

**30 აპრილი, ხუთშაბათი**

„ჩერნომორეცი" — „როსტსელმაში", ასკ „კარპატი" — „დინამო" სტ., „კრ. სოვეტოვი" — „კოლოსი", „გეოლოგი" — „მეტალურგი", „ლოკომოტივი" — „ფაკელი", „კუზბასი" — „როტორი", **„პამირი" — „დინამო" ბ., „ფახთაქორი" — „ტორპედო" ქ.**, ასკ რ. — „კოტაიკი", „ზარია" — „სპარტაკი".

**VIII ტური**

**3 მაისი, კვირა**

„დაუგავა" — „შინიკი", „ჩერნომორეცი" — „დინამო" სტ., ასკ „კარპატი" — „როსტსელმაში", „კრ. „სოვეტოვი" — „მეტალურგი", „გეოლოგი" — „კოლოსი", „ლოკომოტივი" — „როტორი", „კუზბასი" — „ფაკელი", **„პამირი" — „ტორპედო" ქ. „ფახთაქორი" — „დინამო" ბ.**, ასკ რ. — „სპარტაკი", „ზარია" — „კოტაიკი".

**IX ტური**

**9 მაისი, შაბათი**

„როსტსელმაში" — „კრ. სოვეტოვი", „დინამო" სტ. — „გეოლოგი", „შინიკი" — „ჩერნომორეცი", „დაუგავა" — ასკ „კარპატი", **„ტორპედო" ქ. — „ზარია", „დინამო" ბ. — — ასკ რ.**, „ფაკელი" — „ფახთაქორი", „როტორი" — „პამირი", „კოლოსი" — „ლოკომოტივი".

**X ტური**

**12 მაისი, სამშაბათი**

„როსტსელმაში" — „გეოლოგი", „დინამო" სტ. — „კრ. სოვეტოვი", „სპარტაკი" — „კოტაიკი", **„ტორპედო" ქ. — ასკ რ., „დინამო" ბ. — „ზარია"**, „ფაკელი" — „პამირი", „როტორი" — „ფახთაქორი", „შინიკი" — „კუზბასი" (მე-13 ტურის მატჩი), „ლოკომოტივი"— „ჩერნომორეცი" (მე-16 ტურის მატჩი).

# სსრ კავშირის პირველობა



## I ლიგა ● გათამაშების კალენდარი

**14 მაისი, ხუთშაბათი**

**1986-87 წლების საკავშირო თასის მეოთხედფინალური მატჩები**

„დინამო" (კიევი) — ასკ „კარპატი" (ლვოვი), „დინამო" (მოსკოვი) — „კოლოსი" (ნიკოპოლი).

**15-16 მაისი, პარასკევი-შაბათი**

**სარეზერვო დღე**

**15 მაისი, პარასკევი**

„დაუგავა" — „კუზბასი" (მე-14 ტურის მატჩი).

**16 მაისი, შაბათი**

„მეტალურგი" — „ლოკომოტივი" (მე-10 ტურის მატჩი).

**XI ტური**

**19 მაისი, სამშაბათი**

ასკ „კარპატი" — „ჩერნომორეცი", „კრ. სოვეტოვი" — „დაუგავა", „გეოლოგი" — „შინიკი", „ლოკომოტივი" — „როსტსელმაში", „კუზბასი" — „დინამო" სტ., „პამირი"— „კოლოსი", „ფახთაქორი" — „მეტალურგი", ასკ რ. — „როტორი", „ზარია" — „ფაკელი", „კოტაიკი" — **„დინამო" ბ., „სპარტაკი" — „ტორპედო" ქ.**

**XII ტური**

**22 მაისი, პარასკევი**

„კრ. სოვეტოვი" — „შინიკი", „გეოლოგი" — „დაუგავა".

**23 მაისი, შაბათი**

„ლოკომოტივი" — „დინამო" სტ., „კუზბასი" — „როსტსელმაში", „პამირი" — „მეტალურგი", „ფახთაქორი" — „კოლოსი", ასკ რ. — „ფაკელი", „ზარია" — „როტორი", **„კოტაიკი" — „ტორპედო" ქ., „სპარტაკი" — „დინამო" ბ.**

**25 მაისი, ორშაბათი**

**სარეზერვო დღე**

„შინიკი" — ასკ „კარპატი", „დაუგავა" — „ჩერნომორეცი" (მე-10 ტურის მატჩები).

**XIII ტური**

**28 მაისი, ხუთშაბათი**

„როსტსელმაში" — „ფახთაქორი", „დინამო" სტ. — „პამირი", „დაუგავა" — „ლოკომოტივი", „ჩერნომორეცი" — „კრ. სოვეტოვი", ასკ „კარპატი" — „გეოლოგი", „ფაკელი" — „კოტაიკი", „როტორი" — „სპარტაკი", „კოლოსი" — ასკ რ., „მეტალურგი" — „კუზბასი" (მე-9 ტურის მატჩი).

**XIV ტური**

**31 მაისი, კვირა**

„როსტსელმაში" — „პამირი", „დინამო" სტ. — „ფახთაქორი", „შინიკი" — „ლოკომოტივი", „ჩერნომორეცი" — „გეოლოგი", ასკ „კარპატი" — „კრ. სოვეტოვი", **„ტორპედო" ქ. — „დინამო" ბ.**, „ფაკელი" — „სპარტაკი", „როტორი" — „კოტაიკი", „მეტალურგი" — ასკ რ., „კოლოსი" — „კუზბასი" (მე-10 ტურის მატჩი).

**6 ივნისი, შაბათი**

**1987-88 წლების საკავშირო თასი**

**სამოცდამეოთხედფინალის ეტაპი I ლიგის გუნდების მონაწილეობით**

„ავანგარდი" (კურსკი) — „როსტსელმაში"
„სოკოლი" (სარატოვი) — „დინამო" სტ.
„შინიკი" — „სპარტაკი" (ტამბოვი)
„დაუგავა" — „ნისტრუ" (კიშინიოვი)
„ატლანტასი" (კლაიპედა) — „ჩერნომორეცი"
ასკ „კარპატი" — „ნივა" (ვინიცა)
„კრ. სოვეტოვი" — „დინამო" (სამარყანდი)
„გეოლოგი" — „სოხიბკორი" (ხალკაბადი)
„ზენიტი" (უსტინოვი) — „ლოკომოტივი"
„კუზბასი" — „ზვეზდა" (ირკუტსკი)
„პამირი" — ასკ (ხაბაროვსკი)
„ცელინიკი" (ცელინოგრადი) — „ფახთაქორი"
„ზარია" (კალუგა) — ასკ რ.
„ნივა" (ტერნოპოლი) — „ზარია"
„კოტაიკი" — „ზვეზდა" (პერმი)
„სპარტაკი" — „ქიაფაზი" (კიროვაბადი)
**„ტორპედო" ქ. — „ირტიში" (ომსკი)**
**„დინამო" ბ. — „კრასნაია პრესნია" (მოსკოვი)**
„დრუჟბა" (მაიკოპი) — „ფაკელი"
**„როტორი" — „დილა" (გორი)**
„კოლოსი" — „ისკრა" (სმოლენსკი)
„მეტალურგი" — „ტავრია" (სიმფეროპოლი)

(ამ დღეს თამაშობენ, აგრეთვე, „კოლხეთი" (ფოთი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო), „დინამო" (სოხუმი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი).

**XV ტური**

**10 ივნისი, ოთხშაბათი**

„ლოკომოტივი" — ასკ „კარპატი", „კუზბასი" — „ჩერნომორეცი", „პამირი" — „შინიკი", „ფახთაქორი" —„დაუგავა", ასკ რ.—„დინამო" სტ., „ზარია" — „როსტსელმაში", „კოტაიკი" — „მეტალურგი", „სპარტაკი" — „კოლოსი", **„ტორპედო" ქ. — „ფაკელი", „დინამო" ბ. — „როტორი".**

**XVI ტური**

**13 ივნისი, შაბათი**

„გეოლოგი" — „კრ. სოვეტოვი", „კუზბასი" — ასკ „კარპატი", „პამირი" — „დაუგავა", „ფახთაქორი" — „შინიკი", ასკ რ. — „როსტსელმაში", „ზარია" — „დინამო" სტ., „კოტაიკი" — „კოლოსი", „სპარტაკი" — „მეტალურგი" — **„ტორპედო" ქ. — „როტორი", „დინამო" ბ. — „ფაკელი".**

**XVII ტური**

**18 ივნისი, ხუთშაბათი**

„როსტსელმაში" — „სპარტაკი", „დინამო" სტ. — „კოტაიკი", „შინიკი" — ასკ რ., „დაუგავა" — „ზარია", „ჩერნომორეცი" — „პამირი", ასკ „კარპატი" — „ფახთაქორი", „გეოლოგი" — „კუზბასი", „როტორი" — „ფაკელი", **„კოლოსი"— „დინამო" ბ., „მეტალურგი" — „ტორპედო" ქ.**

**XVIII ტური**

**21 ივნისი, კვირა**

„როსტსელმაში" — „კოტაიკი", „დინამო" სტ. — „სპარტაკი", „შინიკი" — „ზარია", „დაუგავა" — ასკ რ., „ჩერნომორეცი" — „ფახთაქორი", ასკ „კარპატი" — „პამირი", „კრ. სოვეტოვი" — „კუზბასი", „გეოლოგი" — „ლოკომოტივი", **„კოლოსი" — „ტორპედო" ქ. „მეტალურგი" — „დინამო" ბ.**

**25 ივნისი, ხუთშაბათი**

**1987-88 წლების საკავშირო თასი**

**ოცდამეთორმეტედფინალი**

**XIX ტური**

**29 ივნისი, ორშაბათი**

„კუზბასი" — „ლოკომოტივი", „პამირი" — „კრ. სოვეტოვი", „ფახთაქორი" — „გეოლოგი", ასკ რ.— „ჩერნომორეცი", „ზარია" — ასკ „კარპატი", „კოტაიკი" — „შინიკი", „სპარტაკი" — „დაუგავა", **„ტორპედო" ქ. — „დინამო" სტ., „დინამო" ბ. — „როსტსელმაში"**, „ფაკელი" — „მეტალურგი", „როტორი" — „კოლოსი".

**XX ტური**

**2 ივლისი, ხუთშაბათი**

„პამირი" — „გეოლოგი", „ფახთაქორი" — „კრ. სოვეტოვი", ასკ რ. — ასკ „კარპატი", „ზარია" — „ჩერნომორეცი", „კოტაიკი" — „დაუგავა", „სპარტაკი" — „შინიკი", **„ტორპედო" ქ. — „როსტსელმაში", „დინამო" ბ. — „დინამო" სტ.**, „ფაკელი" — „კოლოსი", „როტორი" — „მეტალურგი".

**5-6 ივლისი, კვირა-ორშაბათი**

**1987-88 წლების საკავშირო თასი**

**მეთექვსმეტედფინალის მატჩები**

**XXI ტური**

**10 ივლისი, პარასკევი**

„როსტსელმაში" — „ფაკელი", „დინამო" სტ. — „როტორი", „შინიკი" — **„ტორპედო" ქ.**, „დაუგავა" — **„დინამო" ბ.**, „ჩერნომორეცი" — „კოტაიკი", ასკ „კარპატი"— — „სპარტაკი", „კრ. სოვეტოვი"— ასკ რ., „გეოლოგი" — „ზარია", „კუზბასი" — „ფახთაქორი", „მეტალურგი" — „კოლოსი".

**11 ივლისი, შაბათი**

„ლოკომოტივი" —„პამირი"

**XXII ტური**

**13 ივლისი, ორშაბათი**

„როსტსელმაში" — „როტორი", „დინამო" სტ. — „ფაკელი", „შინიკი" — **„დინამო" ბ., „დაუგავა" — „ტორპედო" ქ.**, „ჩერნომორეცი" —„სპარტაკი", ასკ „კარპატი"—„კოტაიკი", „კრ. სოვეტოვი" — „ზარია", „გეოლოგი" — ასკ რ.

**14 ივლისი, სამშაბათი**

„კუზბასი" — პამირი".

**15 ივლისი, ოთხშაბათი**

„ლოკომოტივი" — „ფახთაქორი".

**18 ივლისი, შაბათი**

**1987-88 წლების საკავშირო თასი**

**მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩები**

**21 ივლისი, სამშაბათი**

**სარეზერვო დღე**

„მეტალურგი" — „ზარია" (მე-13 ტურის მატჩი), „კრ. სოვეტოვი" — „ლოკომოტივი" (მე17 ტურის მატჩი).

• • •

**შენიშვნები: 1. სარეზერვო დღეები დანიშნულია გუნდებისთვის, რომლებსაც მგზავრობა მოუწევთ საერთაშორისო ტურნირებზე და მატჩებზე, აგრეთვე, გუნდებისთვის, რომლებიც 1986-87 წლების საკავშირო თასის მეოთხედფინალში მონაწილეობენ.**

**2. თამაშები ჩატარდება კალენდარში პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.**



# ზედიზედ მეოთხე გამარჯვება

(დასასრული)

„ბალტიკის" წყალბურთელებიდან ბურთები გაიტანეს ვ. პოპოვმა, ვლადიმიროვმა (2-2), შმელიოვმა, მასლობოევმა და ელისეენკომ.

ამ დღეს ხარკოვის „ლოკომოტივმა" სევასტოპოლის კჩფ-ს სძლია — 6:5, მოსკოვის „უნივერსიტეტის" წყალბურთელებმა მეტად დაძაბულ, საინტერესო ბრძოლაში, მინიმალური ანგარიშით (12:11) ცსკ ვმფ დაამარცხეს.

• • •

ალმა-ათა. წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი სწორედ ყაზახეთის დედაქალაქში გაიმართა. ერთმანეთს შეხვდნენ შარშანდელი ჩემპიონი მოსკოვის „დინამო" და მისი მუდმივი მეტოქე, ვერცხლის პრიზიორი ალმა-ათის „დინამო". პირველი და მეორე პერიოდები მოსკოველთა უპირატესობით აღინიშნა (3:2, 2:0), მაგრამ შემდგომში ჩემპიონი, როგორც ჩანს, დაიღალა. ამით კარგად ისარგებლა ყაზახეთის გუნდმა და თამაში გაათანაბრა. მატჩი დამთავრდა ფრედ 10:10 (მესამე და მეოთხე პერიოდები ალმა-ათელებმა მოიგეს შესაბამისად 5:3 და 3:2).

კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდმა როგორც იქნა მოიგო ამ ჩემპიონატში პირველი მატჩი — დაამარცხა კიევის „დინამო" — 10:9 (3:3, 1:3, 3:3, 3:0). ლვოვის დინამოელებმა „მოსკვიჩს" აჯობეს — 10:8 (3:1, 2:2, 2:4, 3:1).

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 25 თებერვლისათვის

### მოსკოვის ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „უნივერ." (მოსკ.) | 4 | 4 | 0 | 0 | 44-25 | 8 |
| „დინამო" (თბ.) | 4 | 4 | 0 | 0 | 36-30 | 8 |
| ცსკა ვმფ | 4 | 2 | 0 | 2 | 38-32 | 4 |
| „ლოკომ." (ხარკ.) | 4 | 2 | 0 | 2 | 22-28 | 4 |
| კჩფ (სევასტ.) | 4 | 0 | 0 | 4 | 25-30 | 0 |
| „ბალტიკა" (ლენ.) | 4 | 0 | 0 | 4 | 19-39 | 0 |

### ალმა-ათის ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკ.) | 4 | 3 | 1 | 0 | 45-35 | 7 |
| „დინამო" (ა-ათა) | 4 | 3 | 1 | 0 | 37-30 | 7 |
| „დინამო" (ლვოვი) | 4 | 2 | 0 | 2 | 38-40 | 4 |
| „დინამო" (კიევი) | 4 | 1 | 0 | 3 | 34-39 | 2 |
| კკფ (ბაქო) | 4 | 1 | 0 | 3 | 36-42 | 2 |
| „მოსკვიჩი" | 4 | 1 | 0 | 3 | 33-37 | 2 |

# მიხეილ გიორგაძე საუკეთესოთა შორის

**სსრ კავშირის წყალბურთის ფედერაციამ 1986 წლის სპორტული შედეგების მიხედვით ქვეყნის უძლიერეს წყალბურთელთა სია დაამტკიცა. ამ სიაში მოხვდნენ უმაღლესი ლიგის შვიდი კოლექტივის წარმომადგენლები.**

ყველაზე ბევრი მოთამაშე მოსკოვის „დინამოდანაა" დასახელებული — 6 წყალბურთელი. მერე მოდიან — ცსკა ვმფ — 4, მოსკოვის „უნივერსიტეტი", ალმა-ათის და ლვოვის „დინამო" — 3-3, „დინამო" (თბილისი) და „მოსკვიჩი" — 1-1.

აი, ეს სიაც: **მეკარეები:** ე. შარონოვი („მოსკვიჩი"), ნ. შაროფეევი („უნივერსიტეტი"), მ. გიორგაძე („დინამო", თბილისი); **მცველები:** ვ. ბერენდიუგა („დინამო", ლვოვი), ნ. მენდაგალიევი, ე. გრიშინი (ორივე — „დინამო", მოსკოვი), ა. კოლოტოვი (ცსკ ვმფ), პ. პროკოპჩუკი („დინამო", ლვოვი), ა. ოგოროდნიკოვი (ცსკ ვმფ); **მოძრავი თავდამსხმელები:** ს. კოტენკო („დინამო", ალმა-ათა), ს. ნაუმოვი („უნივერსიტეტი"), ს. მარკოჩი (ცსკ ვმფ), ნ. სმირნოვი („დინამო", ლვოვი), დ. აპანასენკო, ს. ვორონინი (ორივე — „დინამო", მოსკოვი), ი. როსლიაკოვი („უნივერსიტეტი"), ა. ორაზალინოვი („დინამო", ალმა-ათა), ს. მაქსიმოვი (ცსკ ვმფ); **პოზიციური თავდამსხმელები:** გ. მშვენიერაძე, მ. ივანოვი (ორივე — „დინამო", მოსკოვი), პ. ვოლკოვი („დინამო", ალმა-ათა).

# უძლიერესებთან ჭიდილში

**სარაევოში** (იუგოსლავია) 20-23 თებერვალს გაიმართა იუნიორთა ევროპის პირველობა საციგაო სპორტში.

ორადგილიანი ციგით ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ — ბაკურიანის საშუალო სკოლის მეათეკლასელებმა, 16 წლის ოსტატობის კანდიდატებმა კახა ვახტანგიშვილმა და ლევან თიბილოვმა — (ორივე თბილისის ასკ) უძლიერეს იუნიორებთან ბრძოლაში მე-12 ადგილი დაიკავეს.

„ლელოს" კორ.

## ა. კარპოვ — ა. სოკოლოვის სუპერფინალი

# პირველი პარტია

მთავარმა მსაჯმა, ესპანელმა ანტონიო მედინამ საათები ჩართო და ესპანეთის ქალაქ ლინარესში დაიწყო პრეტენდენტ ვაქთა სუპერფინალური მატჩი ჭადრაკში ანატოლი კარპოვსა და ანდრეი სოკოლოვს შორის. წილისყრით ყოველ კენტ პარტიაში თეთრი ფიგურებით სოკოლოვი ითამაშებს.

სასტუმრო „ანიბალის" საკონფერენციო დარბაზში ხუთასამდე გულშემატკივარი მქუხარე ტაშით შეხვდა მატჩის მონაწილეებს და დიდოსტატებმაც არ გააწბილეს ისინი. სოკოლოვი მთელი შეხვედრის მანძილზე ეძებდა მოგებისკენ მიმავალ გზებს, ერთ მომენტში პაიკიც მოიგო, მაგრამ მსოფლიოს ექსჩემპიონმა მაინც მოახერხა თავის დაცვა, დაიბრუნა პაიკი და 36-ე სვლაზე, თანაბარ პოზიციაში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

აი, ეს პარტიაც.

**ა. სოკოლოვი — ა. კარპოვი**

კარო-კანის დაცვა

1. e4 c6 2. c4 d5 3. cd cd 4. ed მf6 5. მc3 მ:d5 6. მf3 e6 7. d4 კe7 8. კc4 0—0 9. 0—0 მc6 10. ეe1 a6 11. კb3 მ:c3 12. bc b5 13. ლd3 ეa7 14. კc2 g6 15. კh6 ეe8 16. ლe3 ეd7 17. h4 კf6 18. კg5 კb7 19. ლf4 კ:g5 20. მ:g5 ლc7 21. ლf6 მ:d4 22. კ:g6 hg 23. cd ეd5 24. ეac1 ლd7 25. ეc5 ლe7 26. ე:e6 ლ:f6 27. ე:f6 ეd7 28. a3 მფg7 29. ეb6 ეe2 30. ეc3 ეd2 31. მf3 კ:f3 32. ე:f3 ე2:d4 33. ე:a6 ე:h4 34. g3 ეh5 35. მფg2 ეhd5. ყაიმი.

# ფლორიდის შტატში

აშშ-ს ქალაქებში ჩოგბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირები მიმდინარეობს. მორიგი შეჯიბრება გაიმართა ფლორიდის შტატში, ქალაქ კეი ბისკეინში. აქ სასპარეზოდ ჩავიდნენ საბჭოთა სპორტსმენებიც: ანდრეი ჩესნოკოვი, სვეტლანა პარხომენკო, ლეილა მესხი, ალექსანდრე ვოლკოვი...

პირველ წრეში მესხსა და ვოლკოვს ძლიერი მეტოქეები შეხვდათ. თბილისელი ჩოგბურთელი ამერიკელ რობინ უაიტთან დამარცხდა — 3:6, 4:6, ვოლკოვი კი შვედ ულფ სტენლუნდთან — 6:7, 6:4, 1:6, 3:6.

ჩესნოკოვმა და პარხომენკომ პირველი ეტაპი წარმატებით განვლეს. ჩესნოკოვმა ჩეხოსლოვაკიელი მარიან ვაიდუ დაამარცხა (6:4, 4:6, 7:5, 6:4), პარხომენკომ კი გფრ-ის წარმომადგენელი კლაუდიო პორვიკი (6:3, 6:2).

# „ციბონა"— „სკავოლინი"

**პესარო** (იტალია). გაიმართა კალათბურთში თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალის განმეორებითი შეხვედრები. ცსკა-მ ფინალში გასვლის შანსი, ფაქტიურად, მოსკოვშივე დაკარგა, როცა იტალიის „სკავოლინი" მხოლოდ 2 ქულის სხვაობით (107:105) დაამარცხა.

შინ იტალიელებმა დამაჯერებლად ითამაშეს, განსაკუთრებით პირველ ნახევარში, რომელიც 20 ქულის სხვაობით (55:35) მოიგეს. „სკავოლინი" წინ იყო შეხვედრის მეორე ნახევარშიც. ცსკა-მ სხვაობა რამდენადმე შეამცირა, მაგრამ ბრძოლა მაინც დათმო — 88:99. ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები ამ მატჩში იყვნენ ვოლკოვი (24 ქულა) და დევისი (26 ქულა).

მეორე ფინალისტი საფრანგეთის „ვილერბანისა" და იუგოსლავიის „ციბონას" შეხვედრამ დაასახელა. ეს მატჩი ზაგრებში გაიმართა და იუგოსლაველთა გამარჯვებით დამთავრდა — 109:93 (52:48).

ფინალური შეხვედრა „ციბონასა" და „სკავოლინის" შორის, რომელიც ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელს გამოავლენს, 17 მარტს ნოვი სადში (იუგოსლავია) გაიმართება.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

### იტალია

კვირას გაიმართა ეროვნული ჩემპიონატის მე-19 ტურის შეხვედრები. „ტორინო" დამარცხდა „ნაპოლისთან" — 0:1. ბურთი შეხვედრის ბოლო წუთებზე ბრუნო ჯორდანომ გაიტანა. ამ გამარჯვების შემდეგ ნეაპოლელმა ფეხბურთელებმა ოთხ ქულამდე გაზარდეს სხვაობა მილანის „ინტერთან", რომელიც დამარცხდა „რომასთან" — 0:1. მილანში, „სან სიროს" სტადიონზე, 85 ათასი მაყურებელი დაესწრო „მილანისა" და „იუვენტუსის" შეხვედრას. ანგარიში მეორე ტაიმის დასაწყისში გახსნა სტუმართა თავდამსხმელმა სერენამ, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე წონასწორობა აღადგინა მილანელმა პიეტრო პაოლო ვირდისმა — 1:1. ვირდისი 11 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია. 10 ბურთი აქვს გატანილი „ინტერის" თავდამსხმელს ალტობელის, ხოლო დიეგო მარადონას — 8.

ამ ტურის რვა შეხვედრაში მხოლოდ 8 გოლი გავიდა. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ემპოლი" — „ატალანტა" — 0:0, „აველინო" — „ასკოლი" 0:0, „სამპდორია" — „ელასი" (ვერონა) — 0:0, „უდინეზე" — „ფიორენტინა" — 1:1, „ბრეშია" — „კომო" — 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნაპოლი" | 19 | 32-11 | 30 |
| „ინტერი" | 19 | 24-9 | 26 |
| „რომა" | 19 | 28-14 | 25 |
| „იუვენტუსი" | 19 | 27-16 | 25 |
| „მილანი" | 19 | 19-10 | 24 |

### ესპანეთი

კვირას „ბარსელონამ" ფრედ ითამაშა ლას პალმასში „იუნიონთან" — 0:0. მადრიდის „რეალი" შეხვდა „კადისს". ამ შეხვედრაში გამარჯვება „რეალს" დარჩა — 2:1. „ესპანიოლმა" დაამარცხა მალიორკის „რეალი" — 3:1. კვლავ დამარცხდა მადრიდის „ატლეტიკო", ამჯერად სევილიაში „ბეტისთან" — 1:2.

სხვა შეხვედრები: „ვალიადოლიდი" — „საბადელი" — 1:0, „რეალი" (მურსია) — „რასინგი" (სანტანდერი) — 2:1, „ატლეტიკო" (ბილბაო) — „სევილია" — 0:1, „სპორტინგი" (ხიხონი) — „ოსასუნა" — 3:0, „რეალი" (სარაგოსა) — „რეალი" (სან სებასტიანი) — 1:0.

ამ ტურის შემდეგ აშკარა გახდა, რომ ჩემპიონობისათვის მხოლოდ 3 გუნდი გააგრძელებს ბრძოლას.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბარსელონა" | 28 | 40-13 | 42 |
| „რეალი" (მადრიდი) | 28 | 50-25 | 39 |
| „ესპანიოლი" | 28 | 45-26 | 36 |

### ინგლისი

გაიმართა თასის მერვედფინალური მატჩი. „უიმბლდონმა" დაამარცხა „ევერტონი" — 3:1. მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს „ტოტენჰემმა", „კოვენტრიმ", „უიგანმა", „ლიდზ იუნაიტედმა", „შეფილდ უენზდეიმ" და „ვესტ ჰემ იუნაიტედმა", აგრეთვე „უოლსოლმა" და „უოტფორდმა" ფრედ დაამთავრეს მატჩები და კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს.

შედგა ჩემპიონატის რამდენიმე შეხვედრა: „ასტონ ვილა" — „ლივერპული" — 2:2, „ჩელსი" — „მანჩესტერ იუნაიტედი" — 1:1, „მანჩესტერ სიტი" — „ლუტონი" — 1:1, „ლესტერი" — „ნორიჩი" — 0:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ევერტონი" | 28 | 53-23 | 54 |
| „არსენალი" | 27 | 42-15 | 53 |
| „ლივერპული" | 28 | 51-29 | 52 |

### ჰოლანდია

მე-20 ტურის მხოლოდ 3 შეხვედრა გაიმართა: „აიაქსი" — „ჰაარლემი" — 6:0, „აზ-67" — „როდა" — 2:1, „დენ ბოსხი" — „ზვოლე" — 5:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი" | 21 | 62-17 | 36 |
| „ეინდჰოვენი" | 19 | 57-12 | 33 |
| „დენ ბოსხი" | 20 | 31-24 | 24 |
| „ფეიენოორდი" | 19 | 35-27 | 23 |

### გფრ

შედგა მეორე წრის პირველი ტური: „ბორუსია" (დორტმუნდი) — „ბაიერნი" (მიუნჰენი) — 2:2, „ჰამბურგი" — „ბორუსია" (მიონჰენგლადბახი) — 3:1, „ფორტუნა" (დიუსელდორფი) — „აინტრახტი" (ფრანკფურტი) — 3:3, „კელნი" — „ბოხუმი" — 1:0, „ნიურნბერგი" — „ვერდერი" (ბრემენი) — 5:1, „კაიზერსლაუტერნი" — „ბლაუ ვაისი" (ბერლინი) 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჰამბურგი" | 18 | 36-18 | 26 |
| „ბაიერნი" (მიუნჰენი) | 18 | 33-20 | 25 |
| „ბაიერი" (ოვერკ.) | 17 | 32-16 | 22 |

### პორტუგალია

„ვიტორია" (გიმარაეში) — „ფარენსე" — 0:0, „ბენფიკა" — „ელვაში" — 2:0, „სალგეირუში" — „პორტუ" — 0:3, „შავეში" — „მარიტიმუ" — 3:1, „ბელენენსეში" — „ბოავიშტა" — 1:2, „აკადემიკა" — „სპორტინგი" (ბრაგა) — 0:0, „პორტიმონენსე" — „სპორტინგი" (ლისაბონი) — 1:1, „რიუ ავე" — „ვარზიმი" — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 20 | 37-18 | 34 |
| „პორტუ" | 20 | 48-16 | 32 |
| „ვიტორია" | 20 | 35-13 | 31 |

## იუმორი





უსიტყვოდ...

ნოდარ ხოდელის ნახატები.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 26 თებერვალი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1)**; დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი კალათბურთში: „ქალგირისი" (სსრ კავშირი) — „ტრეისერ ფილიპსი" (იტალია) — **20.15 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში: ცსკა — „სპარტაკი" — **21.20 (2)** და **22.40 (2)**.

**27 თებერვალი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1)**; დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; სპორტული პროგრამა: 1) პროფკავშირების ყრილობის დელეგატთა შეხვედრა სპორტსმენებთან, 2) სსრ კავშირის ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში, 3) სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში, 4) სტუდენტთა ზამთრის მსოფლიო თამაშები, 5) ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ბიატლონში — **19.45 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია. 26 თებერვალი.** საქართველოს საფეხბურთო პირველობის წინ — **17.25**; სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) — **20.45**.

რედაქტორი თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06790